



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 5
01/02/2017

5-06-4-201702011737



განკარგულება N5

2017 წელი, 1თებერვალი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში 2016 წელში გაწეული მუშაობის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, რომელმაც მოისმინა ამავე საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში 2016 წელში გაწეული მუშაობის თაობაზე აღნიშნავს, რომ კომისიას საანგარიშო პერიოდში გაწეული აქვს მნიშვნელოვანი მუშაობა არსებული კანონმდებლობითა და დადგენილებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით, კომისია რეგულარულად იხილავდა და ამზადებდა დასკვნებს საკრებულოს სხდომაზე საფინანსო-საბიუჯეტო ნორმატიული სამართლებრივი აქტების პროექტებზე და აქტიურად მონაწილეობდა ამ პროექტების შემუშავებაში, ამასთან საკრებულოს მიაჩნია, რომ კომისიამ გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ბიუჯეტის შესრულების თაობაზე აღმასრულებელ ორგანოს შესაბამისი სამსახურის მიერ კვარტალური მიმოხილვებისათვის კანონით გათვალისწინებული ანგარიშების მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის რეგულარულად წარმოდგენას, გამომდინარე აქედან საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :


მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში 2016 წელში გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

მუხლი 2. კომისიამ რეგულარულად უზრუნველყოყოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვა და ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში წარმოდგენა და დამტკიცება.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია



საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო